

“დამტკიცებულია”

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა  
და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის  
2021 წლის 31.03 N 03-02 ბრძანებით

## სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების  
პროგრამების ადმინისტრირების მარეგულირებელი წესი



2021 წელი

## **მუხლი 1. რეგულირების სფერო**

1. წინამდებარე მარეგულირებელი წესის მიზანია განსაზღვროს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი, მსმენელის სტატუსის მოპოვებისა და შეწყვეტის საკითხები, მსმენელის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, მსმენელის უფლება-მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

2. წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყო შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N 71/ნ ბრძანება „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ.“

3. მარეგულირებელი წესის მოქმედება ვრცელდება კოლეჯის თანამშრომელზე, რომლებიც ახორციელებენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს (შემდგომში -პროგრამებს) და ყველა აპლიკანტზე, რომლებსაც მიენიჭათ მსმენელის სტატუსი.

## **მუხლი 2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება**

კოლეჯი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას აცხადებს ღია ან დახურული წესით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით.

## **მუხლი 3. აპლიკანტთა შერჩევა და მსმენელის სტატუსის მოპოვება**

1. აპლიკანტის შერჩევის პროცედურის დაწყების და დასრულების ვადებს კოლეჯის დირექტორი განსაზღვრავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელშიც განისაზღვრება:

ა) პროგრამის დასახელება, მოკლე აღწერა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია;

ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

გ) პროგრამის განხორციელების ადგილი;

დ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;

ე) აპლიკანტთა რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების თარიღები;

ვ) სპორტული ტურზე რეგისტრაციისა და ჩატარების თარიღები (სპორტული მიმართულების პროგრამებზე)

ზ) გასაუბრების თარიღი;

1<sup>1</sup>. აპლიკანტი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციისათვის გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებგვერდზე და რეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს შესაბამის იურიდიულ პირს, რომელიც არეგისტრირებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

2. კოლეჯი ვალდებულია, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს მიაწოდოს ინფორმაცია შერჩევის პროცედურის შესახებ, რომელსაც გამოაქვეყნებს კოლეჯის

ოფიციალურ ვებ გვერდზე/განათავსებს კოლეჯის შენობაში ღიად, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას ან/და აპლიკანტს გაუგზავნის მოკლე ტექსტურ შეტყობინებას რეგისტრაციის დროს მითითებულ ნომერზე.

3. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის აპლიკანტთა შესარჩევ კომისიას, რომელიც შედგება არანაკლებ სამი წევრისგან.

3<sup>1</sup>. სპორტული მიმართულების პროგრამებისთვის კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის სპორტული ტურის ჩატარებაზე პასუხისმგებელ კომისიას (კოლეჯში მოქმედი სპორტული ტურის ჩატარების დებულების თანახმად) და განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს.

4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება გასაუბრებით, ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად ან/და სპორტული ტურის შედეგებით.

5. გასაუბრება ან სპორტული ტური გულისხმობს, შეირჩეს ის აპლიკანტები, რომლებსაც ერთის მხრივ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და მეორეს მხრივ აქვთ მოტივაცია და სურვილი მოახდინონ ცოდნის განვითარება/გაღრმავება.

6. გასაუბრებისა და/ან სპორტული ტურის ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში აპლიკანტები ჩაირიცხებიან სასურველ პროგრამებზე.

7. შესარჩევი კომისია, ასევე სპორტულ ტურზე პასუხისმგებელი კომისია აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გასაუბრებისა და სპორტული ტურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღეში

8. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების კონკრეტულ პროგრამაზე აპლიკანტთა რაოდენობა აჭარბებს პროგრამით გადვალისწინებულ კვოტას, ასეთ შემთხვევაში სპორტული მიმართულების პროგრამებზე გადამწყვეტია სპორტულ ტურში ასახული შედეგები. სხვა პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ტესტირების მეთოდით.

9. ტესტირების პროცესის დასრულების შემდგომ, აპლიკანტთა მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, პრიორიტეტი მიენიჭებათ იმ აპლიკანტებს, ვინც უფრო მოკლე დროში მოახდინა ტესტირების დასრულება.

10. აპლიკანტთა ტესტირების დროს მიღებული ქულებისა და სპორტული ტურის შედეგების საფუძველზე, ჯგუფში საჭირო მსმენელთა რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს რეიტინგულ სიას.

11. გასაუბრების, სპორტული ტურისა და ტესტირების პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული

მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირისთვის სტატუსის მინიჭებას, აგრეთვე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე

ჩარიცხვის უფლების მქონე პირს სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს კოლეჯის ოფიციალური ვებ გვერდზე, განათავსებს კოლეჯის შენობაში ღიად, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას ან/და აცნობებს მოკლე ტექსტური შეტყობინებით მის მიერ რეგისტრაციის დროს მითითებულ ნომერზე.

12. ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია დაუკავშირდეს იმ აპლიკანტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში. კოლეჯი ვალდებულია ამ კატეგორიის პირთათვის მსმენლის სტატუსის მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება და ელექტრონულ სისტემაში ასახვა უზრუნველყოს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

13. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხულმა მსმენელმა ჩარიცხვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში კოლეჯში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება დირექტორის სახელზე;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გ) ერთი ფოტოსურათი 3X4.

14. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ჩარიცხვის უფლების მქონე პირი მიერ დადგენილ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენლობის ან ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის შემთხვევაში ჩარიცხვის უფლების მქონე პირი კარგავს ჩარიცხვის უფლებას.

15. კოლეჯში წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მსმენელს. კოლეჯი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში, მსმენელი არ დაიშვება სასურველ პროგრამაზე.

17. მსმენლის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მსმენლის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ და მასთან აფორმებს ხელშეკრულებას სასწავლო მომსახურების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს კოლეჯის სახელით დირექტორი და მსმენელი.

18. ინფორმაცია მსმენლის სტატუსის მინიჭების შესახებ ელექტრონულ სისტემაში აისახება შესაბამის პროფესიულ მომზადების/პროფესიულ გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე.

19. მსმენლის სტატუსის მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება და ელექტრონულ სისტემაში ასახვა ხდება შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

20. კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის (სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის);

### **მუხლი 3<sup>1</sup>. დახურული წესით აპლიკანტთა შერჩევა**

1. დახურული წესით აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კოლეჯს აქვს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს პირთა გარკვეული წრის პროფესიულ მომზადება/პროფესიულ გადამზადებას.

2. ამ დებულებით დადგენილი დახურული წესით აპლიკანტთა რეგისტრაციას ახდენს კოლეჯი.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრირებული აპლიკანტთა რაოდენობა თანაბარია ჯგუფის დასაკომპლექტებელ რაოდენობასთან, ასეთ შემთხვევაში ყველა აპლიკანტი შერჩევის პროცედურის გავლის გარეშე, გადადის მსმენლის სტატუსის მოსაპოვებელ ეტაპზე.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრირებული აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია ჯგუფის დასაკომპლექტებელ რაოდენობასთან და დადებულ ხელშეკრულების თანახმად, ჯგუფის შევსება არ ხორციელდება ღია კონკურსის წესით, ასეთ შემთხვევაში ყველა აპლიკანტი შერჩევის პროცედურის გავლის გარეშე, გადადის მსმენლის სტატუსის მოსაპოვებელ ეტაპზე.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია ჯგუფის დასაკომპლექტებელ რაოდენობასთან და დადებულ ხელშეკრულების თანახმად, ჯგუფის შევსება არის შესაძლებელი ღია კონკურსის წესით, ასეთ შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია ჯგუფის სრულად დასაკომპლექტებლად გამოაცხადოს ღია კონკურსი და ამ დებულებით დადგენილი წესის მე-2 მუხლის

თანახმად, მოახდინოს აპლიკანტთა შერჩევა. ხოლო დახურული წესით რეგისტრირებული ყველა აპლიკანტი შერჩევის პროცედურის გავლის გარეშე, გადადის მსმენლის სტატუსის მოსაპოვებელ ეტაპზე.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრირებული აპლიკანტთა რაოდენობა აჭარბებს ჯგუფში დასაკომპლექტებელ პირთა რაოდენობას, ასეთ შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება აპლიკანტთა შესარჩევი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედის კოლეჯის წარმომადგენლები და იურიდიული პირის/ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

### **მუხლი 4. მსმენლის სტატუსის შეწყვეტა**

1. მსმენლის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;

ბ) პროგრამის დასრულება;

გ) კოლეჯის შინაგანაწესისა და მარეგულირებელი დებულებების სისტემატური დარღვევა, რაც ზიანს მიაყენებს კოლეჯს, მის მსმენლებსა და თანამშრომლებს;

დ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;

ე) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ვ) გარდაცვალება;

ზ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

2. მსმენელი, რომელიც შესაბამის პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 7

(შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში არ დასწრებია შესაბამისი პროგრამით განსაზღვრულ საკონტაქტო საათებს, კოლეჯის ადმინისტრაციისათვის არ შეუტყობინებია გაცდენის მიზეზი ან/და არ მიუმართავს განცხადებით, ამოირიცხება ჯგუფიდან;

3. მსმენელს, რომელიც არასაპატიო მიზეზით გაცდენს საკონტაქტო საათების 5%-ზე მეტს, სასწავლო პროცესის მენეჯერის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დირექტორის ბრძანებით შეუწყდება მსმენლის სტატუსი;

4. მსმენელს საპატიოდ ჩათვლება გაცდენილი საკონტაქტო საათების 15%, თუ იგი გაცდენის შესახებ კოლეჯის ადმინისტრაციას მიმართავს განცხადებით ან/და წარმოადგენს შესაბამის ცნობას.

5. მსმენლის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

#### **მუხლი 5. სასწავლო პროცესის ორგანიზება**

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებას კოორდინირებას უწევს სასწავლო პროცესის მენეჯერი.

2. სასწავლო პროცესის მენეჯერი ხელმძღვანელობს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების მომზადებასა და მათ დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

#### **მუხლი 6. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შინაარსი**

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა შეადგენს თეორიული მეცადინეობების, პრაქტიკული სამუშაოების და შეფასების ერთობლიობას.

2. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს განრიგის მიხედვით, რომელიც მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა) პროგრამის და ჯგუფის დასახელება.

ბ) განმახორციელებელი პირის სახელი და გვარი.

გ) ლექციის ჩატარების დრო.

დ) ლექციის ჩატარების ადგილი.

#### **მუხლი 7. მსმენლის, განმახორციელებელი პირის უფლებები და ვალდებულებები**

მსმენლის, ასევე განმახორციელებელი პირის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის შინაგანაწესით, მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით.

## **მუხლი 8. მსმენელის შეფასების სისტემა**

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით;
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა;
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან/და გამოუცხადებლობის შემთხვევაში მსმენელს უფლება ეძლევა ერთჯერადად ისარგებლოს ხელმეორედ დადასტურების უფლებით:
  - ა) სწავლის შედეგის დასრულებიდან მომდევნო კვირის შაბათ დღეს. იმ შემთხვევაში თუ ეს შაბათი დღე ემთხვევა კანონით დადგენილ უქმე დღეს დამატებითი შეფასების განრიგს ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი. ხოლო ამ ვადაშიც სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში მას შეუწყდება მსმენელის სტატუსი;
  - ბ) პროგრამის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში პროგრამის განმახორციელებელი პირი, სასწავლო პროცესის მენეჯერთანშეთანხმებით ნიშნავს განმეორებითი შეფასების თარიღს. ამ ვადაში სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში მას შეუწყდება მსმენელის სტატუსი;

## **მუხლი 9. მსმენელის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი**

1. განმსაზღვრელი შეფასების შედეგი მსმენელს ეცნობება პროგრამის განმახორციელებლის მიერ შესაბამისი უწყისის შევსებისთანავე (5 დღის ვადაში). შედეგების გაცნობის ალტერნატიულ ფორმას არეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებელი იმგვარად, რომ არ დაირღვეს თითოეული მსმენელის უფლებები;
2. მსმენელის მიერ მიღებული შედეგების გასაჩივრების უფლება წარმოიშობა შედეგების გაცნობის დღიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღეში.
3. მსმენელი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, რომელიც ქმნის სპეციალურ კომისიას, ხოლო კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში;
4. გასაჩივრების შემთხვევაში, განცხადების წარმოებაში მიღებიდან კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში, სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს სალექციო განრიგით გათვალისწინებულ ლექციებს.
5. მსმენელს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან გონივრულ ვადაში;
6. განცხადების განხილვის შედეგად, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მიღებული შედეგი აისახება შესაბამის შეფასების უწყისში;

7. ზოგადი ხასიათის წერილობითი საჩივარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული თუ რას აპროტესტებს მსმენელი, არ განიხილება. გადაწყვეტილება პროტესტის განუხილველად დატოვების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

#### **მუხლი 10. სერტიფიკატის გაცემა**

1. სერტიფიკატის გაცემის საფუძველია მსმენელის მიერ პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების ათვისება და განმსაზღვრელ შეფასებებში დადებითი შეფასების მიღება;
2. სერტიფიკატის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.
3. სერტიფიკატთან ერთად გაიცემა სერტიფიკატის დანართი, რომლის შევსებას ახორციელებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი.

#### **მუხლი 11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელი**

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელებისათვის ხელმისაწვდომია დაწესებულების მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის სერვისი;
2. პროგრამაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელების ჩარიცხვისას, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია გამართოს კონსულტაციები მსმენელთან, პროგრამის სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობის არსებობისა და პირობების უზრუნველყოფის მიზნით;
3. პროგრამაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელების ჩარიცხვისას, დირექტორის მიერ შექმნილი კომისია შეისწავლის მსმენელის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას;
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრული მისაღწევი სწავლის შედეგების ფარგლებში, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება - პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოთხოვნებთან მიმართებით;



5. სერტიფიკატი გაიცემა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში. ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, გაიცემა ცნობა გავლილი კომპონენტების შესახებ;
6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის შექმნილ კომისიაში სხვა წევრებთან ერთად, სავალდებულოდ უნდა შედიოდეს პირი, რომელიც ფლობს შესაბამის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარებს. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ასეთი პირის მოწვევას.

## **მუხლი 12. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვა და გამოყენება**

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი კომპონენტების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი დაწესებულების დირექტორს მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნას წარადგენს არაუგვიანეს პროგრამის დაწყებამდე 10 სამუშაო დღისა;
2. მასალებისა და ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს დირექტორი.
3. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის;
4. სასწავლო მიზნებისათვის მასალებისა და ნედლეულის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირისათვის გადაცემა ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით.

## **მუხლი 14. კონკრეტულ პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა**

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:
  - სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა და შეთანხმებული ადგილების რაოდენობა.
2. კონკრეტულ პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი უნდა გადანაწილდეს ყველა პროგრამაზე;
3. გადაწყვეტილებას პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის/გაზრდის/შემცირების შესახებ ამ მუხლით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ციფრის ფარგლებში იღებს დაწესებულება და ასახავს შესაბამის განცხადებაში.